



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღი(ებ)ი
13 მაისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

7 ივლისი 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში 0411
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული № 71; 24.09.2018

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე/შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე/ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლაცოშვილი/შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური/ ააიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი კერძო უნივერსიტეტია იმერეთის რეგიონში, რომელიც 1991 წელს დაფუძნდა, როგორც „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი“, ხოლო 2010 წელს გადაერქვა სახელი. უსდ-ში თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკის მიმართულებას, აღსანიშნავია იმ დროისთვის საქართველოში ბიზნეს და ეკონომიკის მეცნიერებებს ერთიანად „ეკონომიკას“ უწოდებდნენ. დაფუძნებიდან დღემდე, უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულება იყო ბუღალტერიისა და ფინანსებში სპეციალისტების მომზადება. აღსანიშნავია, რომ პროგრამა აკრედიტირებული იყო 2012-2018 წლებში, ხოლო შემდგომში ფუნქციონირება გააგრძელა ავტორიზაციის რეჟიმში. პროგრამას ერქვა „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“, რომელიც შეიცვალა მოქმედი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით და დაერქვა „საბუღალტრო აღრიცხვა“.

პროგრამა დამტკიცებულია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 10/02/2020 წლის N10 გადაწყვეტილების საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“ მოიცავს (120 ECTS). პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები კერძოდ: პროგრამაში გაძლიერდა კვლევითი მიმართულება დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები: სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა & სამეცნიერო წერა; ამასთანავე, პროგრამაში გაუქმდა შემდეგი სასწავლო კურსები: ეკონომეტრიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი, გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; საბირჟო საქმე; მარკეტინგის მენეჯმენტი. ამასთანავე განახლდა თემატიკა და სავალდებულო ლიტერატურა.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 სემესტრი,

- ძირითადი სწავლის სფეროს კურსები - 68 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტის კურსები - 52 ECTS

სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 63 კრედიტის ოდენობით შედგენილია სპეციალობის საგნებით და ორიენტირებულია მაგისტრანტს შეასწავლოს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების სრულყოფილი ტექნიკა, ქვეყნის კანონმდებლობისა და

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე პროგრამის ძირითადი არჩევითი კურსია 5 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტის ეთმოზა აკადემიური კვლევისა და წერითი უნარების გამომუშავებისათვის საჭირო კურსებსა და პრაქტიკას, რომელთაგან 47 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო არჩევითი 5 კრედიტია. თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები მიმართულია, ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის შევსების, აკადემიური კვლევისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო უნარების განვითარებისაკენ.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2020 წლის 13 მაისს. ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“ პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის“ მიერ.

2020 წლის 12 მაისს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენელი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა.

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 13 მაისს. 10:00-დან 19:00 საათამდე. სააკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთანამშრომლობითი და საქმიანი გარემო.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან რადგან:

- ✓ პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მისი 1.1. ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2. სრულად შესაბამისობაშია.
- ✓ მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მისი 2.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია, 2.3. 2.4. 2.5. და 2.6 სტანდარტები მეტწილად, ხოლო 2.2. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- ✓ მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მისი 3.1. ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- ✓ მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მისი 4.1. 4.2. 4.4. ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- ✓ მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მისი სამივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება.
- საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები.
- მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად.
- გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიდწევებზე და შეესაბამებოდეს კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს.
- მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა.

- სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდა ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა.
- სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ამოცანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).
- გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.
- უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება.
- სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ

გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე, იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, მოხდეს შედეგების ოპტიმიზაცია და მათი რაოდენობის შემცირება. იმგვარად, რომ 1 შედეგმა მოიცვას კიდეც 1 ან 2 სხვა შედეგი.
- ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევით სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.
- სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხების ნიმუშები და ლიტერატურა, სადაც შესაძლებელია აღნიშნული საკითხების მოძიება, ასევე ინგლისურ ენაში საგამოცდო ტესტების ნიმუშები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში დამხმარე ან ძირითადი ლიტერატურის სახით გამოყენებული იქნას ACCA (Association of Chartered Certified Accountants)-ს სასერთიფიკაციო პროგრამის სახელმძღვანელოები და სავარჯიშოთა კრებულები, მაგალითად „ფინანსური ანგარიშგება“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“, „ფინანსური მენეჯმენტი“ და სხვ.
- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უფრო მეტი სტუდენტის ჩართვა გაცვლით პროექტებსა და სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.
- სასურველია ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.
- იმისათვის, რომ ფინანსურად მდგრადი იყოს პროგრამა და ბიუჯეტით გათვალისწინებული მუხლები ეკონომიკურად მიღწევადი, უსდ-მ უნდა აწარმოოს აქტიური სარეკლამო და მარკეტინგული კამპანია პროგრამის ცნობადობისა და მასზე მოთხოვნის ამაღლების მიზნით.

- წიგნადი ფონდის განახლება აუცილებელია, როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რათა სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი წიგნებით.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - ✓ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რათა სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვას ხელი არ შეეშალოს.
 - ✓ ქუთაისის უნივერსიტეტი სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს სთავაზობს სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვასა და შემდგომი სემესტრის სწავლის ღირებულების განახევრებას, ასევე უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის არსებობს დაფინანსებისა და სტიპენდიის მოპოვების ფართო შესაძლებლობები.
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019-ის 696 ბრძანების შესაბამისად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ 0411, (0411.1.1 საბუღალტრო აღრიცხვა Accounting“). სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის მიზნებია:

- ბუღალტრულ აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსათვის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც სრულად წვდებიან პროფესიული ღირებულებების არსს;
- კურსდამთავრებულები დამოუკიდებლად აფასებენ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მთლიან სიტემას და სახავენ გზებს მათი ეფექტიანობის და ოპერატიულობის გაზრდისათვის. ასევე იციან ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტში ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების შექმნის და გამართული ფუნქციონირების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა-ჩატარების ტექნიკა;
- კურსდამთავრებულებმა იციან საინფორმაციო სისტემების (ელექტრონული პროგრამების) ეფექტიანი გამოყენება, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა-ჩატარების პროცესში.

საქართველოში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ ბაზარზე დღითიდღე იზრდება კვალიფიციურ ბუღალტრებსა და აუდიტორებს მოთხოვნა. რადგან ევროინტეგრაციის

პროცესიდან გამომდინარე ევრო დირექტივების შესრულება საწარმოთა გამჭირვალობის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. 2016 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ამასთანავე განხორციელდა რიგი რეფორმები. შეიქმნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საბჭო. ბუღალტრის პროფესია გახდა უფრო მაღალანაზღაურებადი, პრესტიჟული და მოთხოვნიდა საქართველოს ბაზარზე.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში ასახულია თანამდროვე მიდგომები დარგის სპეციალისტების მიმართ. მასში გათვალისწინებულია, მეცნიერების ორივე მიმართულების „ფინანსური აღრიცხვის“, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში განხორციელებულ ფაქტობრივ მონაცემებზე და განკუთვნილია ორგანიზაციის გარე მომხმარებლებისთვის და „მმართველობითი აღრიცხვის“, რომელიც არის - „ღირებულების ზრდის მუდმივი გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა, შემუშავება, გაზომვა და ოპერირება და განხორციელება ფინანსურ და არაფინანსურ სისტემებში, რომელიც საფუძვლად უდევს მენეჯმენტის მოქმედებას ახდენს ქცევის მოტივირებას და ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების შექმნას რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების მისაღწევად“ .

პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობის და სხვა სათნო (Soft) უნარების სტუდიებისთვის გამომუშავებაა, რაც უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმებაში.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ სასურველია მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ პროგრამის მიზნების შესრულებისთვის უზრუნველყოფს კარგ სასწავლო გარემოს და შესაბამისად ორგანიზებულ სასწავლო პროცესს. ამასთანავე საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

პროგრამის მიზნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი განხორციელების გეოგრაფიული არე არის იმერეთის რეგიონი და ადგილზე მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრები კი ხელს შეუწყობს ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნას რეგიონში.

საბოლოო ჯამში პროგრამის მიზნები ასახავს შესაბამისი მე-7 დონისა და პროფესიის

ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების, განსაკუთრებით რეგიონის განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის მისია“;
- ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“;
- ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვა“ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (უსდ-ს ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- ✓ შრომის ბაზრის ანალიზი;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- ✓ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ლექსიკურად გამართულია თუმცა მე-2 და მე-3 მიზნის დეკლარირების კონტექსტი უფრო შეესაბამება შედეგს ვიდრე მიზანს, ამიტომ უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების დეკლარირების კონტექსტის დაზუსტება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, „ბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს 12 შედეგი.

პროგრამაში წარმოდგენილია, პროგრამის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის მატრიცა, რომელიც თანმიმდევრულად და ლოგიკურად ასახავს ერთმანეთთან ურთიერთკავშირს.

პროგრამაში ცალკე გამოტანილია კურიკულუმის რუკა, სასწავლო კურსსა და შედეგს შორის დამოკიდებულება ასახულია ადეკვატურად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულია შემდეგი ეტაპები: ა) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, ბ) კურიკულუმის ანალიზი, გ) სწავლის შედეგების შეფასება; და დ) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია ის, რომ უნივერსიტეტში დაწყებულია ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების სისტემის დანერგვა, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამაზე დაკვირვება და მისი გაუმჯობესება აღსანიშნავია, რომ პროგრამით მზადდება მაღალი კვალიფიკაციის ბუღალტერი, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, დანართი #1-ს მე-7 დონის მახასიათებლებს.

პროგრამის სწავლის შედეგები - რეალისტურია ამასთანავე გაზომვადი და მიღწევადი, რაც მთავრია შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. 2016 წლიდან ძალიან გაიზარდა მაღალკვალიფიციურ ბუღალტერზე მოთხოვნა, რაც ფაქტობრივად დაიწყო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის რეფორმა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამა იმერეთის რეგიონში „ბუღალტრული კვალიფიკაციით“ ერთადერთია და რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. რადგან ყველა ძლიერი ორგანიზაციაში კიდევ უფრო პროფესიონალ ბუღალტერთა გუნდი დგას.

პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების აკადემიურ ბაზისს.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიხედვით თითოეულ დისციპლინაში. ამასთანავე გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები.

საბოლოო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის, შედეგები რეალისტური,

გაზომვადი და მიღწევადია. პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების აკადემიურ ბაზისს. თუმცა კარგი იქნება, რომ მოხდეს შედეგების ოპტიმიზაცია და მათი რაოდენობის შემცირება. იმგვარად, რომ 1 შედეგმა მოიცვას კიდეც 1 ან 2 სხვა შედეგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის მისია“;
- ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“;
- ✓ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვა“ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (უსდ-ს ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- ✓ შრომის ბაზრის ანალიზი;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მოხდეს შედეგების ოპტიმიზაცია და მათი რაოდენობის შემცირება. იმგვარად, რომ 1 შედეგმა მოიცვას კიდეც 1 ან 2 სხვა შედეგი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. კერძოდ, იმისათვის, რომ მაგისტრანტობის მსურველმა ჩააბაროს ქუთაისის უნივერსიტეტში უნდა გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები, ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან წარმოადგინოს B2 დონის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი და ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და რექტორის 22.04.2019წ-ის #321 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტად მიღების ინსტრუქცია“.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამებზე დაშვების წინაპირობები, თუმცა სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხები და ლიტერატურა, სადაც შესაძლებელია აღნიშნული საკითხების მოძიება, ასევე ინგლისურ ენაში საგამოცდო ტესტების ნიმუშები არ არის განთავსებული.

ექსპერტების მიერ დაისვა საკითხი პროგრამაზე დაშვების პირობების მსურველთათვის მეტი ინფორმირებულობის შესახებ. ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მიზეზად საიტის რეკონსტრუქცია დაასახელეს და აღნიშნეს, რომ გამოცდამდე ერთი თვით ადრე ხდება საკითხების ვებ-გვერდზე განთავსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამა;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ✓ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან;
- ✓ ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <http://www.unik.edu.ge>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხების ნიმუშები და ლიტერატურა, სადაც შესაძლებელია საგამოცდო საკითხების მოძიება, ასევე ინგლისურ ენაში საგამოცდო ტესტების ნიმუშები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, დაგეგმვის, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები. საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და მაგისტრატურის

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში აკადემიური ხარისხი.

საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისაგან (წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსებით) და თავისუფალი (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი) კურსებისაგან.

პროგრამაში მოცემულია 120 კრედიტის შემდეგი გადანაწილება:

- ძირითადი სწავლის სფეროს კურსები - 68 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტის კურსები - 52 ECTS

სასწავლო კურსები სემესტრების მიხედვით გადანაწილებულია თანმიმდევრულად. სასწავლო კურსებზე დაშვების პირობები ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენაზე. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის გავლას და სამაგისტრო ნაშრომის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა, პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები. კერძოდ:

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი თავისუფალი კომპონენტის კურსების შეთავაზება უნდა ხდებოდეს ძირითადი სწავლის სფეროს კურსებში და პირიქით, ზოგიერთი სასწავლო კურსი კი საერთოდ ამოსაღებია პროგრამიდან ან შესაძლოა მოხდეს სხვა სასწავლო კურსთან ინტეგრაცია. კერძოდ:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს „სამაგისტრო ნაშრომზე“ დაშვების წინაპირობები (არც პროგრამაში და არც „მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესში“ დაშვების პირობები არ არის მითითებული).
- შესაძლებელია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების „ფინანსური ანალიზი“ და „მმართველობითი ანალიზი“ ერთ საგნად ინტეგრაცია,

მითუმეტეს, რომ ორივე კურს ერთიდაიგივე ძირითადი ლიტერატურა აქვს მითითებული; - უნდა მოხდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების „ფინანსური მენეჯმენტი 1“ და „ფინანსური მენეჯმენტი 2“ ერთ კურსად ინტეგრაცია და სილაბუსიდან ისეთი თემების ამოღება, რომელიც ბაკალავრიატში „კორპორაციათა ფინანსების“ ფარგლებში ისწავლება („ფინანსური მენეჯმენტი 1“ - ის სილაბუსით გათვალისწინებული თემების უმეტესობა); - შესაძლებელია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსის „პროფესიული ეთიკა“ და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსის „ბიზნეს ეთიკა“ ასევე ერთ სასწავლო კურსად ინტეგრაცია; - სასწავლო კურსების ინტეგრაციით გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე შესაძლებელია ცალ-ცალკე ისწავლებოდეს კერძო ანუ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და საჯარო სექტორის აუდიტის სტანდარტები IPSAS, რომლებსაც სასწავლო კურსი „ფინანსური კონტროლი და აუდიტი“ ფარავს; - სასწავლო კურსების ინტეგრაციით გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე შესაძლებელია ცალკე საგნად დაემატოს (შესაძლოა არჩევით კურსებშიც) მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs); - აუცილებელია ცალკე საგნად ისწავლებოდეს (შესაძლოა არჩევითი კურსების ნაწილშიც) დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები და საგადასახადო ანგარიშგება; მითუმეტეს, რომ საგადასახადო საკითხებზე არაერთი სამაგისტრო ნაშრომი დაცული პროგრამის ფარგლებში; - პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე (კურსდამთავრებულებმა იციან საინფორმაციო სისტემების (ელექტრონული პროგრამების) ეფექტიანი გამოყენება, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის წარმოების, აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა-ჩატარების პროცესში) უნდა მოხდეს ბუღალტრული პროგრამების სიღრმისეულად სწავლება. - სასურველია დაემატოს არჩევითი კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“, რომელიც სავალდებულოდ ასარჩევი იყოს იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში; - პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ნაწილში არჩევით საგნად შეთავაზებული იქნას სასწავლო კურსები „პერსონალის მართვა“ და „ოპერაციათა მენეჯმენტის“.	✓ მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო; ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ✓ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ✓ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები);
--	--

რეკომენდაციები:

- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - „სასწავლო პრაქტიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ გადატანილი იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში და განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები.
- ✓ მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნების ინტეგრაცია და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატოს სასწავლო კურსები, რომელთა სწავლება აუცილებელია პროგრამის მიზნების მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ამასთანავე, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება თავად კურსის შინაარსს და განათლების საფეხურს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ

მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასწავლო კურსების ნაწილში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა საჭიროებს გადახედვას, განახლებას და სწავლების საფეხურთან და კურსის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, სასწავლო კურსებში „მმართველობითი ანალიზი“, „ფინანსური ანალიზი“, ფინანსური აღრიცხვა“, „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“ გადასახედია და განსახლებელია ძირითადი ლიტერატურა.

ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.

სასურველია სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწყვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ უსდ-ს შეძენილი აქვს და ასწავლიან „ორისი“-ის ბუღალტრულ პროგრამას, მაგრამ ეს სილაბუსებში არ არის მითითებული.

აუცილებელია მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების (5 კრედიტს ითვალისწინებს) გაზრდა. სასწავლო პრაქტიკა მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერს რეალურ საქმიანობაში და საბუღალტრო აღრიცხვაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. უსდ-ს „მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესის“ თანახმად პრაქტიკის სტანდარტული ხანგრძლივობაა 3 კვირა. რაც არასაკმარისია „სასწავლო პრაქტიკის“ მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. თუმცა „მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესში“ აღნიშნულია, რომ დასაშვებია ამ ვადის გახანგრძლივება პრაქტიკის გავლის სემესტრის

ფარგლებში სტუდენტის დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელისა და რექტორის წერილობითი შეთანხმებით. არც „სასწავლო პრაქტიკის“ სილაბუსში და არც უსდ-ს „მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესში“ არ არის მითითებული პრაქტიკის ობიექტებში საკონტაქტო საათების რაოდენობა. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ხანგრძლივობა გაზრდილია წინა პროგრამასთან შედარებით. მისი თქმით ასევე მოხდა პროგრამის სხვა სასწავლო კურსების გაძლიერება პრაქტიკული ელემენტებით, რაც სტუდენტს უდავოდ დაეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

გადასახედი და შესაბამისობაში მოსაყვანი სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და ჯ. დანიელსის „საერთაშორისო ბიზნესის“ გამოყენება, როგორც სავალდებულო ლიტერატურის, არარელევანტურია. კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.

მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში დამხმარე ან ძირითადი ლიტერატურის სახით გამოყენებული იქნას ACCA (**Association of Chartered Certified Accountants**)-ს სასერთიფიკაციო პროგრამის სახელმძღვანელოები და სავარჯიშოთა კრებულები, მაგალითად „ფინანსური ანგარიშგება“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“, „ფინანსური მენეჯმენტი“ და სხვ.

კარგი იქნება „მმართველობითი აღრიცხვის“ რომელიმე საგანში თუ მოხდება შემდეგი საკითხების შესწავლა: მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლის სისტემები: საქმიანობის შეფასება ჯაჭვური ღირებულების შექმნისას, დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემა და ბიუჯეტის გამოყენება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, რაც პროგრამა გაუმჯობესდება.

სხვა დანარჩენი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა ლოგიკურია და შეესაბამება სასწავლო

კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო პროგრამა;
- ✓ პროგრამის კურიკულუმი;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- ✓ გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა, რათა ისინი დაფუძნებული იყოს სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, შეესაბამებოდნენ კურსის მიზანსა და სწავლების საფეხურს.
- ✓ მოხდეს „სასწავლო პრაქტიკის“ გაძლიერება და შესაბამისად მისთვის განსაზღვრული კრედიტების გაზრდა. გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა, სილაბუსში მიეთითოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- ✓ გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის“ სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა და კრედიტების რაოდენობა. სილაბუსით გათვალისწინებული შესასწავლი თემებიდან გამომდინარე ეს არის არა „საერთაშორისო ბიზნესის“, არამედ „ბიზნეს სამართლის“ კურსი და კარგი იქნება, თუ სწორედ „ბიზნეს სამართლის სახელწოდებით“ მოხდება აღნიშნული კურსის შეთავაზება.
- ✓ უნდა მოხდეს, სასწავლო კურსების „ფინანსური აღრიცხვა“, „ბუღალტრული ანგარიშგება“ და „მმართველობითი აღრიცხვა გადაწვეტილებების მისაღებად“ მეტი პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთვა და სწავლების პროცესში რომელიმე ბუღალტრული პროგრამის ჩართვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან უსდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას, სასურველია როგორც ძირითად, ისე არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში, მოხდება უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება.
- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში დამხმარე ან ძირითადი ლიტერატურის სახით გამოყენებული იქნას ACCA (Association of Chartered Certified Accountants)-ს სასერთიფიკაციო პროგრამის სახელმძღვანელოები და სავარჯიშოთა კრებულები, მაგალითად „ფინანსური ანგარიშგება“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“, „ფინანსური მენეჯმენტი“ და სხვ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ კონფერენციებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში, ლექტორებთან ერთად ჩაერთონ უსდ-ს მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში. სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. გარდა ამისა, საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტია სასწავლო პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. სილაბუსის თანახმად, სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიან სხვადასხვა კერძო სტრუქტურებში. პრაქტიკის ობიექტებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უსდ-ს მემორანდუმები გაფორმებული აქვს პროგრამის შესაბამისი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტისთვის კვალიფიციური პრაქტიკის

ხელმძღვანელის დანიშვნას, ხოლო პრაქტიკის ობიექტში კი სტუდენტს გამოეყოფა მენტორი. პრაქტიკის ხელმძღვანელი პერიოდულ მონიტორინგს უწევს პრაქტიკის მიმდინარეობას და სტუდენტების აქტიურობას. სასწავლო პრაქტიკა ეხმარება სტუდენტს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის ტრანსფერში რეალურ საქმიანობაში და საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიციური პირები.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება/დაცვას, იგი ხორციელდება „მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესის“ მიხედვით, რომლებშიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა და გაფორმების წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის შედეგად გაირკვა, რომ უმეტეს ნაშრომში კვლევითი ნაწილები სუსტად გამოიყურება, (ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემას პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსების ნაწილში სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“ დამატება გარკვეულწილად მოაგვარებს). გარდა ამისა, მწირია გამოყენებული ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ მაგისტრატურის პროგრამის პროფესიული პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი;
- ✓ მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- ✓ სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი;
- ✓ ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ✓ ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- ✓ პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და გამოყენებულ ლიტერატურას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურთან, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს და კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების ფარგლებში ფართოდაა გამოყენებული სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება. პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს - დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ. თუმცა სასწავლო კურსებშიც ვხვდებით სწავლება-სწავლის ისეთ მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებით (მაგ. სასწავლო კურსი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“). სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს

სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების, ანალიზისა და მსჯელობის, დარგთან დაკავშირებული შემთხვევების შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების და ზოგადად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და სწავლების შესაბამისი მიდგომების გამოყენება, კერძოდ, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა პროფესორ-მასწავლებელთა მზაობა სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო და საკონსულტაციო საათების მიღმა გაუწიონ სტუდენტებს დამატებითი კონსულტაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის მაგისტრატურის პროგრამა;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად ფორმულირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპიანი შეფასება, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას, აქედან დასკვნითი შეფასება მოიცავს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასება - 60 ქულას, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი. ამასთან, შუალედური შეფასებები მოიცავს ისეთ მრავალჯერად შეფასების კომპონენტებს როგორიცაა ქვიზი, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასებისა და შუალედური გამოცდის ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 25 ქულას. დასკვნითი გამოცდა სავალდებულო ხასიათისაა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 16 ქულას. ამასთან, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, რაც ინტერვიუს პროცესში დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსში გამოყენებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების უნიფიცირებული მიდგომა, კერძოდ ყველა სასწავლო კურსის შუალედური გამოცდა ფასდება 30 ქულით,

ხოლო ფინალური გამოცდა 40 ქულით. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინა, რომ მიუხედავად ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული გამოცდების შეფასების უნიფიცირებული მიდგომისა, სასწავლო პერსონალს აქვს აკადემიური თავისუფლება თავად განსაზღვრონ აღნიშნულ გამოცდებში შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა აღსანიშნავია სასწავლო კურსი: „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებაზე, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების მომზადება, მხოლოდ 10 ქულით ფასდება, ხოლო 90 ქულა თეორიული ცოდნის შეფასებაზე ნაწილდება (ქვიზი, შუალედური და ფინალური გამოცდა). შესაბამისად, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს აღნიშნულ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დისტანციურად გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, რაც დასტურდება სასწავლო პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგებით ისეთ თემაზე, როგორიცაა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით კომისიური წესით, სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოწმდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის საშუალებით და ნაშრომი გადის რეცენზირებას. ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ კომისიის სხდომაზე, რომელზეც მოწვეულია გარე შემფასებელიც და ნაშრომი ფასდება ერთჯერადად:

ა) სამაგისტრო წერითი ნაშრომის შესრულების კომპონენტისათვის - 60 ქულა;

ბ) სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მაგისტრანტის მოხსენებისათვის - 40 ქულა.

მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას და შეფასების დეტალურ კრიტერიუმების მექანიზმისა, სამაგისტრო ნაშრომებში შეინიშნება მეთოდოლოგიური სისუსტეები, ამიტომ სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდა ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა. ამასთან აღსანიშნავია, რომ „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განახლების შემდეგ დაემატა ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „სამეცნიერო წერა“ და „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“, რაც ქმნის მოლოდინს, რომ სამომავლოდ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე იქონიებს გავლენას.

დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც დასტურდება უნივერსიტეტის დებულებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი გამოიყენება საუნივერსიტეტო სტიპენდიების გაცემისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დებულება (05/09/2019 წელი, რექტორის №514 ბრძანება);
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურის პროგრამის პრაქტიკის გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი (05/06.2019 წელი, რექტორის №378 ბრძანება)
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგამოცდო ცენტრის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა;
- ✓ „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;
- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდებისა და ეთიკის“ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია კვლავ შუალედური გამოცდისა და ქვიზების გამოყენება.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებსა და შეფასების კრიტერიუმებში უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიტიკური ნაწილისა და კვლევის მიგნებების წილი. ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მეტად კონტროლდებოდეს ციტირების ერთიანი სტანდარტის დაცვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია აღნიშნული საათები და საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ საკონსულტაციო მომსახურებას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სემესტრში რამდენჯერმე პირადად ხვდება სტუდენტებს, რათა მათი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს პროგრამის განვითარება და დაეხმაროს სტუდენტებს პრობლემური საკითხების აღმოფხვრაში.

ქუთაისის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური, რომელშიც დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა ბაზების კოორდინატორის და უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციის კოორდინატორი, უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ

დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა, დასაქმების ფორუმებს და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდითა და სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებს, სემინარებს, ტრენინგებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ სტუდენტს აქვს მონაწილეობა მიღებული გაცვლით პროექტებში, ხოლო პროგრამის არცერთ სტუდენტს არ აქვს მონაწილეობა მიღებული სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. ასევე, უნივერსიტეტის შინაგანაწესი ითვალისწინებს სტუდენტების უფლებას, დააარსონ სტუდენტური თვითმმართველობა (უნივერსიტეტის სტუდენტთა მაკოორდინირებელი ორგანო), სასპორტო, შემოქმედებითი და სხვა ტიპის კლუბები თავიანთი ინტერესების შესაბამისად იმ პირობით, რომ ამ კლუბების წევრობის შესაძლებლობა ჰქონდეს უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს.

აღსანიშნავია ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტთა დაფინანსებისა და სტიპენდიების მოპოვების ფართო შესაძლებლობები. მათ შორისაა:

- ა) 100% დაფინანსება სამ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტს;
- ბ) 30% ფასდაკლება ქუთაისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შემდგომი საფეხურის პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისას;
- გ) 20% ფასდაკლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს;
- დ) 20% ფასდაკლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილე პირებს;
- ე) 10% ფასდაკლება თითოეულს ერთი ოჯახის ორი ან მეტი წევრისთვის;
- ვ) 0% სტუდენტური სესხი;

ზ) შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ სტუდენტებს, რომლებსაც 2018 წლის 1 იანვრამდე შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, 2020 წლის 1 სექტემბრამდე უნივერსიტეტისადმი წერილობითი მომართვის საფუძველზე ჩამოეწერება ფულადი დავალიანება და უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად სწავლის საფასურის შემდგომი თანხა გაუნახევრდება - ინტერვიუს დროს საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა დაადასტურა აღნიშნული შეღავათით

სარგებლობა.

თ) შპს ქუთაისის უნივერსიტეტში 2020 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მობილობით გადმოსულ სტუდენტებს გაუნახევრდება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ სწავლის საფასური, თუ მათ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსი ფულადი დავალიანების გამო შეუჩერდათ 2018 წლის 1 იანვრამდე;

ი) 2021 წლამდე შპს ქუთაისის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსულ სტუდენტებს, რომლის აკადემიური შეფასება (GPA) 3.0-დან 3.7-მდე შეადგენს შეუძლიათ ისარგებლონ 30%-იანი სასწავლო გრანტით, ხოლო სტუდენტებს რომლის აკადემიური შეფასება (GPA) არის მინიმუმ 3.7 ან მეტი შეუძლიათ ისარგებლონ 50%-იანი სასწავლო გრანტით.

სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ უნივერსიტეტში მომუშავე ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორისაა: ფსიქოლოგი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ასევე ქუთაისის უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტაციას აწარმოებს მობილობის პროცესის კოორდინატორი, რეესტრის წარმოების კოორდინატორი და საგამოცდო ცენტრის კოორდინატორი. სტუდენტთა ინფორმირების მიზნით აკადემიური კალენდარი, სასწავლო, კონსულტაციების და საგამოცდო ცხრილი განთავსებულია უნივერსიტეტის შენობაში საინფორმაციო ელექტრონულ დაფაზე, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და პირადად ეგზავნება თითოეულ სტუდენტს კორპორაციული ელექტრონული ფოსტით; მიუხედავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მცდელობისა, რომ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების დანერგვა, ქუთაისის უნივერსიტეტი საჭიროებს ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნას, სადაც ინტეგრირებული იქნება სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტი მუშაობს შიდა ელექტრონული საქმისწარმოების პორტალის - UNIK FOLLOW-ს გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტში განხორციელებული დისტანციური ვიზიტის დროს გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, კერძოდ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში ქუთაისის

უნივერსიტეტმა სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რათა სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დებულება (05/09/2019 წელი, რექტორის №514 ბრძანება);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ შესაბამისი სამსახურების და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- ✓ საკონსულტაციო საათების 2020 წლის განრიგი;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკის სტუდენტებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი აქტები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;
- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და უფრო მეტი სტუდენტის ჩართვა გაცვლით პროექტებსა და სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- ✓ სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა, სადაც ინტეგრირებული იქნება სტუდენტისთვის საჭირო ყველა სერვისი და ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ერთი პლატფორმიდან ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალის ელექტრონულ ვერსიებზე, საგნის სილაბუსებზე, საგამოცდო შეფასებებზე, შედეგების ელექტრონულ რეჟიმში არჩევა. ასევე სასურველია სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტებისთვის დანერგოს ელექტრონული ადმინისტრაციული სერვისები, მაგალითად: სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის ან სხვა საჭირო დოკუმენტაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და მიღების შესაძლებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ✓ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პირობებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ სტუდენტებს უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რათა სასწავლო პროცესის ელექტრონულად წარმართვას ხელი არ შეეშალოს.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტი სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს სთავაზობს სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვასა და შემდგომი სემესტრის სწავლის ღირებულების განახევრებას, ასევე უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის არსებობს დაფინანსებისა და სტიპენდიის მოპოვების ფართო შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ერთი მხრივ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ხოლო მეორე მხრივ

სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურით, აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი წინასწარ აქვეყნებს სამაგისტრო ნაშრომის თემებს, რის შემდეგაც სტუდენტი წერს განცხადებას და მისთვის საინტერესო ხელმძღვანელსა და თემებს პრიორიტეტულად ალაგებს შემდეგ კი თემებისა და ხელმძღვანელების განაწილების მიზნით ფაკულტეტის დეკანის ოფისი, აგროვებს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის არჩევის განაცხადებს, რის საფუძველზეც დგება საბოლოო სიები. აღნიშნული პროცედურა გამორიცხავს, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელს ნაშრომის თემატიკის შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდეს, თუმცა გარკვეულწილად სტუდენტს ეზღუდება აკადემიური თავისუფლება, რადგან წინასწარ გამოცხადებულ თემებში შესაძლოა სტუდენტისთვის საინტერესო საკითხი არ მოხვდეს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება, რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს.

ქუთაისის უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება მაგისტრატურის პროგრამის პრაქტიკის გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას. აღნიშნულ კომპონენტზე მუშაობისას სტუდენტს ეხმარება კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი და საბუღალტრო აღრიცხვის ან მომიჯნავე მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება.

უნივერსიტეტში არსებული წესდების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი საკონტაქტო საათებში, პერიოდული კონსულტაციების დროს, დახმარებას უწევს მაგისტრანტს ნაშრომის მომზადების გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს ნაშრომის მზადებას, სტუდენტს აძლევს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება მის კორექციაში, რაც დისტანციური ვიზიტის დროს პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმაც დაადასტურეს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ტექნიკურ-ადმინისტრაციულ მხარეს კურირებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების კოორდინატორი, რომელიც თავის

მხრივ კონსულტაციებს უტარებს მაგისტრანტებს. უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს ოთხ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი აქტიურ კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება და რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ნაშრომები შინაარსობრივ და სტრუქტურულ ხარვეზებს შეიცავს, ასევე სტუდენტები კვლევის პროცესში თითქმის არ იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს, ამიტომ სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესებითა მოცემული და ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურის პროგრამის პრაქტიკის გავლისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი (05/06.2019 წელი, რექტორის №378 ბრძანება)
- ✓ საკონსულტაციო საათების 2020 წლის განრიგი;
- ✓ მაგისტრანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;
- ✓ თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

- ✓ სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების მინიჭებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს სასწავლო პერსონალმა წინასწარ გამოაქვეყნოს არა სამაგისტრო ნაშრომის კონკრეტული თემები (სათაურები), არამედ მათი ზოგადი კვლევითი მიმართულება რის შემდეგაც ხელმძღვანელთან კონსულტაციის პროცესში მაგისტრანტი დააკონკრეტებს თემის სათაურს. ასევე იზრუნონ ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- ✓ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის უნდა გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების

გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია შემდეგნაირად დაკონკრეტდეს ნაშრომის შესავლის სტრუქტურა: თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა (დაშვება) და ა.შ).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პერსონალის მართვის სახელმძღვანელოში მოცემული საკონკურსო შერჩევის წესი, თანხვედრაშია კანონმდებლობასთან. პერსონალი საქმიანობას ახორციელებს შრომითი კონტრაქტების საფუძველზე, რომელიც ასევე, თანხვედრაშია კანონმდებლობასთან და მისაღებია დასაქმებულისა და დასაქმებულისათვის.

ქუთაისის უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამებზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მე-3 თავის თანახმად, დაცულია ადამიანური რესურსების რაოდენობრივი პარამეტრები.

კერძოდ:

- უნივერსიტეტის საიტზე განთავსებული წესდების **X თავის** თანახმად, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს, საბჭოს წევრად ფაკულტეტს წარმოდგენილი უნდა ყავდეს **5 წევრი**. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის **მე-3** თავის თანახმად, აფილირებული და ასოცირებული პროფესორების რაოდენობა მეტი უნდა იყოს აკადემიური საბჭოს წევრების რაოდენობაზე. ვინაიდან პროგრამაში ჩართული პერსონალიდან **10** აფილირებულია, ეს პარამეტრი დაკმაყოფილებულია.
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა თითოეული პროგრამის კომიტეტში,

რომელსაც მიღებული აქვთ აკადემიური ხარისხი პროგრამის შესაბამის დარგში მეტია **2-ზე**.

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით **1/2 -ია**;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით **1/1.4-ია**;
- აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის ფარდობა მოწვეულ პერსონალთან **1/3.6** ია;

პროგრამის პერსონალი შედგება **14** პერსონისაგან, მათ შორის **3** მოწვეული და **11** აკადემიური. **11** აკადემიურ პერსონალს შორის **10** აფილირებულია, ხოლო მოსალოდნელი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა **20** სტუდენტია. პროგრამის განხორციელების ადმინისტრირების პროცესში ჩართულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

ზემოაღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებლები, აკმაყოფილებს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მე-3 თავის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პერსონალის პირადი საქმეების გაცნობის საფუძველზე და უსდ-ის მიერ ჩატარებული კვლევებზე დაყრდნობით, სადაც სტუდენტები დადებითად აფასებენ თავიანთი ნაშრომების ხელმძღვანელებს და კმაყოფილებას გამოთქვამენ მათი მხრიდან კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის გამო, რაც ინტერვიუშიც დადასტურდა, გამომდინარე მათი აკადემიური ხარისხისა, სამუშაო გამოცდილებისა და სამეცნიერო ნაშრომებისა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალი არის კვალიფიციური და კომპეტენტური. ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის ადმინისტრირების საკითხში და ყოველთვის მზად არიან მათ დასახმარებლად.

პროგრამას ხელმძღვანელობს აუდიტის მიმართულებით 20 წლიანი გამოცდილების მქონე, მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის 10 წლიანი გამოცდილების მქონე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი - პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი. ბატონ პაატას მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის კვალიფიკაცია, არის ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი. 2010 წლიდან იგი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო აქტივობებში, მონაწილეობა აქვს მიღებული კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები სხვადასხვა ჟურნალებში, ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. იგი უძღვება სხვადასხვა სალექციო კურსს და ამავდროულად არის პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე. როგორც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, იგი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შეფასება-განვითარებაში,

განხორციელებაში და ყოველთვის მზადაა სტუდენტებს გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები და დახმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის და უსდ-ის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მას გააჩნია პროგრამის ხელმძღვანელისათვის საჭირო კვალიფიკაცია, აუცილებელი ცოდნა და პირადად არის ჩართულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა აქტივობაში, რაც უზრუნველყოფს სხვა ზემოთხსენებულ მოცემულობებთან ერთად პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის დებულება;
- ✓ კომპანიის წესდება;
- ✓ პერსონალის მართვის სახელმძღვანელო;
- ✓ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები და სამუშაო აღწერილობები;
- ✓ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვა;
- ✓ ინტერვიუები დაინტრესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში მოქმედებს რექტორის N518 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის შეფასების პროცედურა, რომლის მიხედვითაც აკადემიური წლის ბოლოს ხდება პერსონალის საქმიანობის შეფასება 3 კომპონენტით: სასწავლო კომპონენტი, ადმინისტრაციული კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

შეფასებაში მონაწილეობას იღებენ ფაქტიურად ყველა სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამასთან, ასევე რექტორი, სტუდენტები და თავად პერსონალი. გამოკითხვა მიმდინარეობს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ანონიმური კითხვარებით, შიდა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც დანერგილია უსდ-ში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველწლიურად ატარებს პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევას, რომელიც ადგენს პერსონალის შრომის ნაყოფიერებას და მათ როლს გუნდში. ასევე ისმენს მოსაზრებებს, რჩევებს, მათ დამოკიდებულებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. გამოკითხვა ხორციელდება შიდა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც დანერგილია უსდ-ში.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური მიერ შედეგების მიღების შემდგომ, ხდება მათი განხილვა შემფასებელი კომისიის სხდომაზე, შემდეგ კი პერსონალისათვის

ინდივიდუალურად გაცნობა ელ-ფოსტის მეშვეობით, ანონიმურობის დაცვით. უსდ შეფასებისთვის იყენებს აკადემიური, მასწავლებელთა და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის შეფასების პროცედურით განსაზღვრულ სქემას.

შედეგებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი გეგმავს თუ, რა სფეროშია საჭირო კომპეტენციის გაღრმავება ან/და ახალი ცოდნის შეძენა და რა მექანიზმებით შეიძლება იყოს მიღწეული მიზანი. ამისათვის უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიცაა: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, ადგილობრივ და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა და ა.შ. აღნიშნული საკითხი დადასტურდა, როგორც პერსონალთან გასაუბრებისას, ასევე დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის საფუძველზე (სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი, გამოქვეყნებული პუბლიკაციების, ავტორების და ბმულების მითითებით, საერთაშორისო მობილობების შესახებ ინფორმაცია). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოწვეულ პერსონალს ასევე აქვს უნივერსიტეტის მხარდაჭერა მათი ნაშრომების გამოქვეყნების ნაწილში, თუმცა სხვა ფინანსური წახალისება (მაგ: ფულადი) ჯილდო, არ დასახელებულა.

ბიუჯეტში გათვალისწინებულია პერსონალის გადამზადებისა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის ხარჯები.

უსდ-ის თანამშრომელთა წახალისებისათვის იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: ფულადი ჯილდო, ხელფასის მომატება, მადლობის გამოცხადება და ა.შ.

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალის აფილირების პრაქტიკა. საბუღალტრო აღრიცხვის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული 14 პერსონიდან 10 აფილირებულია ქუთაისის უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის შედეგები 2019;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევის ანალიზი 2019'
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ რექტორის N518 ბრძანება, აკადემიური, მასწავლებელთა და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის შეფასების პროცედურის შესახებ;
- ✓ დამატებით წარმოდგენილი სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალი, გამოქვეყნებული პუბლიკაციების, ავტორების და ბმულების მითითებით;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კორპუსში განთავსებულია ბიბლიოთეკა, აუდიტორიები როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, საკონფერენციო დარბაზი და ორი კომპიუტერული კლასი. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც დადასტურდა როგორც ვიზუალური დათვალიერებისას, ასევე მ/ჩ აქტით, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის (შპს-ს) საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლის მიერ მოხდა 50 ერთეული კომპიუტერის შეტანა. დათვალიერების დროს, ერთ-ერთი კომპიუტერულ კლასში არ აღმოჩნდა კომპიუტერები, იმ მიზეზით რომ მიმდინარე დისტანციური სწავლების საჭიროებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციამ დროებით მფლობელობაში გადასცა სტუდენტებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი მ/ჩ აქტების საფუძველზე. ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, საპრეზენტაციო ტექნიკითა და კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნადი ფონდი, რომელიც შედგება 4000-მდე წიგნისგან, მათ შორის 346 ციფრული წიგნია. კონკრეტული მიმართულებით წიგნების რაოდენობა ვერ დასახელდა ინვენტარიზაციის პროცესის გამო. გამოიკვეთა ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიმწირე. სილაბუსებში წარმოდგენილი წიგნები ბიბლიოთეკას აქვს, რაც ამ ეტაპზე აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებს, თუმცა როგორც სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზის სუსტ მხარეებში წარმოდგენილი მუხლებიც ადასტურებს, რომ საბიბლიოთეკო ფონდი არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო ელექტრონული ბაზები, ასევე ღია წვდომის ელექტრონული რესურსები, სადაც ახალგაზრდა მკვლევარებს და აკადემიურ პერსონალს ეძლევათ საშუალება განათავსონ პუბლიკაციები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 5 ერთეული კომპიუტერით, აქვს ცალკე გამოყოფილი სამკითხველო სივრცე ე.წ. ანტრესოლის სახით, სადაც განთავსებულია 10 ერთეული პლანშეტი.

შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის და მოწყობილია პანდუსები. ასევე ფუნქციონირებს ლიფტი. სტუდენტებისათვის არ ფუნქციონირებს კაფეტერია. შენობაში მოწყობილია სტუდენტებისათვის თავისუფალი სივრცე განტვირთვისათვის.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ უსდ-ებამ შეიცვალა მფლობელი, რომელიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს უნივერსიტეტის რესურსებში, უსდ-ზე უკვე გადმოცემულია ტექნიკური საშუალებები, გაუმჯობესებულია წიგნადი ფონდი და ამასთანავე იგეგმება ბიბლიოთეკის ცალკე მდგომი შენობის აშენება უსდ-ს ეზოში.

აღსანიშნავია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის მთავარი რესურსი არის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი და პერსონალი, ხოლო ბუღალტრული ე.წ. Soft-ების ვერსიები ხელმისაწვდომია თავისუფლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება (დისტანციურად);
- ✓ სხდომის ოქმი N6 (ლიტერატურის განახლება);
- ✓ შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი 02.04.2019;
- ✓ კომპიუტერების გადაცემის მ/ჩ აქტები.

რეკომენდაციები:

- ✓ წიგნადი ფონდის განახლება აუცილებელია, როგორც ქართულენოვანი ასევე

ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რათა სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი წიგნებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით და პროგრამის რაოდენობრივ მაჩვენებლებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბოლო ორი წლის მანძილზე პროგრამით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია, ვინაიდან მე-4 წელს პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიუხედავად (40 ადგილი) პროგრამაზე ჩაირიცხა 2 სტუდენტი, ხოლო მე-5 წელს გამოცხადებული 10 ადგილიდან შეივსო მხოლოდ 3 ადგილი, რაც წინა წლების მაჩვენებელს საგრძნობლად ჩამოუვარდება და კლების მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 80%-ს. ასევე რაოდენობრივ მაჩვენებელში მოცემული აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 3 სტუდენტს.

ბიუჯეტის მუხლებში არ არის გათვალისწინებული რაიმე ტიპის მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯი, რომელიც იმოქმედებდა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მავნებელზე. ასევე, არ არის წარმოდგენილი ბაზრის კვლევა, რითაც შევძლებდით გვეჩვენა რამდენად მაღალია მოთხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე ზოგადად და მოგვცემდა გონივრული ვარაუდის შესაძლებლობას, თუ რამდენი პროცენტია მათ შორის პოტენციურად ქუთაისის უნივერსიტეტის მომავალი სტუდენტი. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტუდენტების სიმწირე გამომდინარეობს იმით, რომ პროგრამა მიმდინარეობს ავტორიზებულ რეჟიმში და აბიტურიენტები თავს იკავებენ პროგრამაზე ჩაბარებისგან.

ამ ფონზე, როცა უნივერსიტეტი არ გეგმავს მარკეტინგულ და სარეკლამო აქტივობებს, დამდეგი სასწავლო წლისთვის პროგრამაზე 20 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის მიღება შესაძლოა უნივერსიტეტისთვის ზედმეტად ოპტიმისტური გეგმა აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების ის მუხლები, რომლის განხორციელების აუცილებლობაც პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს შესაძლოა დაუდგეს მიუხედავად სტუდენტების არსებული რაოდენობისა. პროგრამაში ჩართული 14 პერსონიდან 11 არის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული და მათ შორის 10 არის აფილირებული. მათი გადამზადებისათვის გამოყოფილია 7000 ლარი, ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებისათვის 1500 ლარი, ასევე სამეცნიერო კვლევებზე 5015 ლარი და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებისათვის გამოყოფილია 2500 ლარი. ხარჯების ეს მუხლები კორელაციაში იქნება იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის მიღება და შესაბამისად, მათგან მიღებულ შემოსავლებთან, რადგან საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებული იქნება გაწიოს ხარჯები, რომელიც მიმართულია პერსონალის გადამზადებაზე და სამეცნიერო აქტივობებზე. სხვა შემთხვევაში, უნივერსიტეტს მოუწევს სხვა სახსრებით დააფინანსოს აღნიშნული ხარჯები.

ყოველივე ზემოხსენებულზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიუჯეტი არის ოპტიმისტური და უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას, რათა პროგრამის ფარგლებში მოზიდული შემოსავლებიდან, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა იყოს ეკონომიკურად მიღწევადი და უზრუნველყოს პროგრამის საჭიროებები. ამავე დროს, ვერც გადაჭრით იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ უნივერსიტეტის აღნიშნულ პროგრამაზე საჭირო რაოდენობის სტუდენტების ჩარიცხვა არ არის შესაძლებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ სტუდენტთა ჩარიცხვების სტატისტიკა; ✓ წარმოდგენილი ბიუჯეტი; ✓ წარმოდგენილი შემოსავლების წლის გეგმა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ იმისათვის რომ ფინანსურად მდგრადი იყოს პროგრამა და ბიუჯეტით გათვალისწინებული მუხლები ეკონომიკურად მიღწევადი, უსდ-მ უნდა აწარმოოს აქტიური სარეკლამო და მარკეტინგული კამპანია პროგრამის ცნობადობისა და მასზე მოთხოვნის ამაღლების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის, უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეების ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტს აქვს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები.

ხარისხის შეფასების სისტემები უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის მთავარი ფუნქციაა და ის ემსახურება უსდ-ს მისიის განხორციელებას. უსდ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველ აქვს ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამასთანავე შემუშავებული აქვს ამ სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, შემუშავება და დამტკიცება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. შიდა შეფასებაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა

- სამეცნიერო კვლევების შეფასება;
- აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ანგარიშგება და თვითშეფასება;
- ხარისხის შიდა კვლევების ჩატარება.

3. სტუდენტების ინტეგრირება საუნივერსიტეტო პროცესებში

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში სტუდენტების ჩართულობა;
- სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების პროცესებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.

ხარისხის შეფასების მთავარი მიზანია, შიდა შეფასებაზე დაფუძნებული უსდ-ს

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

სამსახური ითვალისწინებს ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო - „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“), ეყრდნობა უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

უსდ იყენებს ინსტრუმენტს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) პრაქტიკაში ხარისხის შეფასებისას.

უსდ-ში პროგრამის შეფასება ხდება მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს“, „ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელოს“ და „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელოს“ საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის მართვის დოკუმენტაცია არის ძირითადად 2019 წლიდან შეცვლილი, სამსახური არის დაკომპლექტებული ახალგაზრდა მოტივირებული კადრებით, რომელთა კომპეტენციები საკმაოდ მაღალია. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ახალი მფლობელი, რომელმაც უსდ შეისყიდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხარისხის შეფასების მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ბოლო წლებში ჩატარებული შიდა ხარისხის შეფასების კვლევები, ახალი სისტემების დანერგვიდან სრულად არ დასრულებული 1 სასწავლო წელი და მის ეფექტიანობაზე მსჯელობა არარელევანტურია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მექანიზმები და პროცედურები გამართულია და გაუმჯობესებული.

დოკუმენტაციისა და დაინტერესებული მხარეების ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ ყველა სასწავლო პროცესში ჩართული მოთამაშეები: ხარისხის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი და კურსდამთავრებული კარგად იცნობს ხარისხის სისტემებს და ჩართული არიან ხარისხის გაუმჯობესების და უსდ-ს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის კომიტეტის ოქმები;
- ✓ „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო პროგრამა.
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა“;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო”; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო”; ✓ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან; ✓ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო”; ✓ დაინტერესებული მხარეების კითხვარების ფორმები; გამოკითხვების შედეგების ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ „საბუღალტრო აღრიცხვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

გარე შეფასება განახორციელა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, ეკონომიკის დოქტორმა, დავით ბიძინაშვილიშვილმა. მის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილის ასახვა მოხდა პროგრამაში, რასაც ადასტურებს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვა“ კომიტეტის სხდომის ოქმი №8 04.03.2020 წ.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ გეგმავს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციის პროცესის შედეგად მიღებულ შეფასების შედეგებს.

ამასთანავე სილაბუსებით და სწავლების შედეგებიდან დასტურდება, რომ პროგრამაში გამოყენებულია საქართველოში და საერთაშორისო დონეზე დარგში არსებული სიახლეები. მაგალითად:

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბ. 2016;
- „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები“, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ქართული თარგმანი, თბ., 2018 წ.
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ქართული თარგმანი, თბ., 2018 წ.

ამასთანავე ხარისხის სამსახურის წამომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შედარება საგნების დონეზე მოხდა სხვადასხვა უნივერსიტეტის იგივე სპეციალობის სამაგისტრო საფეხურის პროგრამებზე. თუმცა სილაბუსების დეტალური შინაარსობრივი შედარება, ვერ მოხერხდა პროგრამების ამ კომპონენტის კონფიდენციალურობის გამო. თუმცა პროგრამა საგნებისა და პრინციპების დონეზე თანხვედრაშია მოწინავე ბიზნეს სკოლების საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და დაინტერესებული მხარეების ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ უსდ იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის. შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგებს აანალიზებს პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სტრუქტურები, ახდენენ მიღებული რელევანტური რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამის კომიტეტის ოქმები;
- ✓ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა.
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა“;

✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“; ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო“; ✓ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო“ ✓ დაინტერესებული მხარეების კითხვარების ფორმები; ✓ გამოკითხვების შედეგების ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დაინტერესებული მხარეების ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოსა” და “ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელოს” მიხედვით.

იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს, რომლებიცაა:

- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი
- გამოცდების შეფასების კითხვარი
- დამსაქმებელთა კითხვარი
- კითხვარი თანამშრომელთათვის
- კურსდამთავრებულთა კითხვარი
- მობილობით გადასული სტუდენტები
- მობილობით გადმოსული სტუდენტები
- პირველკურსელთათვის
- პროფესიული პრაქტიკის შეფასება
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება
- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება და სხვ.

კვლევები და გამოკითხვები ხდება სხვადასხვა ინტენსივობით, წელიწადში ერთხელ:

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- სტატუსშეჩერებული სტუდენტების გამოკითხვა;
- პირველი კურსის სტუდენტების კმაყოფილების კვლევა.

წელიწადში ორჯერ:

- სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება;
- მობილობით გადმოსული და გადასული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
- ხელმძღვანელისა და სამუშაო პროგრესის შეფასება,

ორ წელიწადში ერთხელ:

- კურსდამთავრებულთა კვლევა;
- დამსაქმებელთა კვლევა,

აღნიშნული მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების დაჯგუფება დახარისხება და ინტერპრეტაცია ხდება ანგარიშების სახით და ამის საფუძველზე ხდება პროგრამაში ანდა მმართველობით პროცესებში ცვლილებების მიღება.

მაგალითად უსდ სტატუსშეჩრებული სტუდენტების გამოკითხვიდან დაადგინა, რომ სტუდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა სტატუსის შეჩერების მიზეზად დაასახელა სამუშაო გრაფიკის სასწავლო ცხრილთან შეუთავსებლობა. აღსანიშნავია, რომ უსდ სამაგისტრო სწავლებას ახორციელებს სამუშაო საათებში, რადგან ახლომდებარე რაიონებში მცხოვრებმა სტუდენტებმა მოასწრონ შინ დაბრუნება, ხოლო დამსაქმებელი არ ახდენს სტუდენტისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზებას. უსდ გეგმავს შემდგომი კვლევების ჩატარებას, იმის დადგენის მიზნით შემცირდება თუ არა, სტატუსშეჩრებულთა დინამიკა თუ ზოგიერთ კურსს შესთავაზებენ კვირის უქმე დღეებში.

ასევე, სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ საუნივერსიტეტო პორტალი - Unik Follow გახდეს უფრო ეფექტიანი, რაზეც უნივერსიტეტმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა.

უსდ ყოველსემესტრულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) განვითარების ანალიზს რათა დადგინდეს, რამდენად პასუხობს მათი მიღწევები და კვალიფიკაცია დარგში არსებულ თანამედროვე საჭიროებებს. შედეგების შესაბამისად საჭიროების კი ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ან მათი სხვა კადრებით ჩანაცვლება.

პროცესის მონიტორინგისთვის უსდ-ს შემუშავებულია აქვს ურთიერთდასწრების პოლიტიკა, რომლის განხორციელების საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებულ მხარეები, სისტემატურად ღებულობენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესებზე, დადებით და გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებას; ფაკულტეტთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო კურსისთვის საჭირო კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გადამოწმებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ უსდ ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და

ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა“; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო“; ✓ კითხვარების ფორმები; ✓ ხარისხის შიდა კვლევების ანგარიშები; ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ „ურთიერთდასწრების პოლიტიკა“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 59

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა გეგეშიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თეა კასრაძე



ნინო ლაცოშვილი



ნიკა გიგაური

